საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვენუოლისი

ვენუოლისი (Vienuolis) (ნამდვ. გვარი – ჟ უ კ ა უ ს კ ა ს ი – Zukauskas) ანტანას [26. III(7. IV). 1882, სოფ. უჟუოჟერიაი, ლიტვა, – 17. VIII. 1957, იქვე], ლიტველი მწერალი. ლიტვის ხელოვნების დამს. მოღვაწე (1947), ლიტვის სახ. მწერალი (1957). 1903–07 ცხოვრობდა თბილისში, ოტენის აფთიაქში მუშაობდა პროვიზორად. 1905 რევ. მოძრაობაში მონაწილეობისთვის ჩასვეს მეტეხის ციხეში, სადაც დაწერა ნარკვევი „ციხეში". *ლიტ.* მოღვაწეობა დაიწყო თბილისში, საქართველოთია შთაგონებული მისი „კავკასიური ლეგენდები" (1905–06, ქართ. თარგმანი 1963). 1946 ვ. მეორედ ჩამოვიდა საქართველოში. შთაბეჭდილებები ასახა წიგნში "კავკასია". მეგობრობდა ქართვ. მწერლებთან: გ. ტაბიძესა და გ. ლეონიძესთან, ი. აბაშიძესთან, გ. აბაშიძესა და კ. ლორთქიფანიძესთან, ა. ქუთათელთან, კ. კალაძესა და სხვებთან. 1957 გამოაქვეყნა „ჩემი მოგონებები" და „გადმოცემები და ლეგენდები".

ი. ბოგომოლოვი